სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის,

დაწყებითი კლასების პედაგოგი,

მასწავლებელი, ზოია ბუცხრიკიძე

პრაქტიკული კვლევის ანგარიში

კვლევის დასახელება:

მოტივაციის ამაღლების საშუალებები უმცროსკლასელებში - მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები

ჩატარების დრო: 2017-2018 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი ---------- 5

I თავი

1. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

1.1 ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ ----------6

1.2. კვლევის ზოგადი მიმოხილვა ----------6

1.3. მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოხატული პრობლემები და მასთან დაკავშირებული სირთულეები ---------- 7

1.4. პრობლემის აქტუალურობა ---------- 8

1.5. კვლევის მიზანი ----------9

1.6. კვლევის ამოცანა----------9

1.7. ძირითადი დასკვნები---------- 9

II თავი

ლიტერატურის მიმოხილვა ----------10-13

III თავი

3.1. კვლევის ვადები ----------13

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი ----- ----------14

3.3. კვლევის მეთოდები ----------14

3.4.კვლევის განხორციელების გეგმა ----------15

IV თავი

მონაცემთა შეგროვება და მონაცემთა ანალიზი

4.1. I ეტაპი-პედაგოგებისათვის აზრის გაზიარება, ანკეტური გამოკითხვა და შედეგების ანალიზი ---------- ---------- 16-17

4.2. II ეტაპი- მოსწავლეთა ანკეტური და ინტერვიუს საშუალებით გამოკითხვა. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი ---------- 18-20

4.3. III ეტაპი- მშობელთა ანკეტური გამოკითხვა და შედეგების ანალიზი ---------- 21-22

V თავი

ინტერვენცია

5.1. ინტერვენციის დაგეგმვა ----------22-23

5.2. ინტერვენციის განხორციელება----------24
5.3. ინტერვენციის შედეგები ----------24-27
5.4. შემაჯამებელი სადიაგნოსტიკო ტესტი ---------- 27-29
5.5. ძირითადი დასკვნები ---------- 29-30
5.6. რეკომედაციები---------- 30
5.7. კვლევის ნაკლოვანებები ----------31-32

დანართები----------32-40
ბიბლიოგრაფია ----------41
პრაქტიკული კვლევის გაზიარების რეფლექსია ----------42-43

შესავალი

მოტივაცია სწავლა- სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატიური მუშაობა მეტწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას. წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში განხილულია მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

ნაშრომი შედეგება 5 თავისაგან:

I თავში - განხილულია შემდეგი საკითხები: ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ; საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა; მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოხატული პრობლემები და მასთან დაკავშირებული სირთულეები; პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები.

II თავში - მიმოხილულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა.

III თავში - განხილულია კვლევის ვადები, ასევე გაანალიზებულია მეთოდები, რომლებიც კვლევის პროცესში გამოვიყენე და განხორციელების გეგმა.

IV თავში - ეხება მონაცემთა შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს

V თავში - განხილულია ინტერვენცია, მისი დაგეგმვა, განხორციელება, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგები, კვლევის ძირითადიშედეგები და ძირითადი რეკომენდაციები.

I თავი-

საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლაში. სკოლას ჰყავს 305 მოსწავლე, რომელთაგან 103 დაწყებითი კლასების მოსწავლეა. პრაქტიკული კვლევა დაწყებით საფეხურის მე-3 კლასში განხორციელდა, სადაც სულ 16 მოსწავლე სწავლობს. სკოლაში სასწავლო აღმზრედელობით პროცესს ემსახურება 33 პედაგოგი, მათ შორის 17 სერთიფიცირებული მასწავლებელი. სკოლას აქვს: ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი პერიოდულად ივსება როგორც მხატვრული, ისე მეთოდოლოგიური ლიტერატურითა და ჟურნალ-გაზეთებით. კომპიუტერული ლაბორატორია- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესი საინტერესოდ დაგეგმონ და წარმართონ.

1.2. კვლევის ზოგადი მიმოხილვა

მოცემული საკითხის კვლევისათვის შევიმუშავე გეგმა, კვლევა ჩავატარე რამდენიმე მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, გამოყენებული იყო: როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (დაკვირვების და დახურული ანკეტირების მეთოდები). ანკეტირება ჩატარდა როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან და მასწავლებლებთან. პედაგოგების გამოკითხვა მიზნად ისახავდა, დამედგინა, ნამდვილად აქტუალურია თუ არა ეს საკითხი, მიიჩნევენ თუ არა პედაგოგები, რომ ეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პრობლემური საკითხია, თვლიან თუ არა, რომ მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, რა საშუალებებით ცდილობენ მასწავლებლები აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

მოსწავლეთათვის შედგენილი და დარიგებული კითხვარები, მიზნად ისახავდა, გამოგვერკვია, როგორია მათი განწყობა და დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ, რა სახის სავარჯშოები იწვევს მათ დაინტერესებას და როგორი სახის გაკვეთილებზე ერთებიან მაღალი მოტივაციით.

წინამდებარე ანგარიში წარმოდგენილია:

- დემოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა, გამოკვეთა, შესწავლა
- პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების მონახვა და შერჩევა

- შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, შერჩევა, განხორციელება
- მიღწეული შედეგების გაანალიზება და შეფასება.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია დამეხმა შემდგომ პედაგოგიურ საქმიანობაში . ვფიქრობ, ეს კვლევა საინტერესო იყო ჩემი კოლეგებისთვისაც.

1.3. მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოხატული პრობლემები და მასთან დაკავშირებული სირთულეები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, პედაგოგი ვალდებულია სისტემატიურად და გეგმაზომიერად იზრუნოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე, რადგან მოტივაცია განაპირობებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას, რაც პირდაპირ კავშირშია მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ძალიან კარგად ჩანს, რომ თითოეული მოსწავლე არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და უნიკალური, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება, სწავლების პროცესში შეძლოს მოსწავლეთა დაინტერესება სხვადასხვა ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენებით, შეუქმნას მას მშვიდი და საქმიანი გარემო და განუვითაროს ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

სწავლა-აღზრდა კი რთული და ხანგრძლივი პროცესია. სამწუხაროდ ყველა მოსწავლე არ არის შინაგანად მაღალმოტივირებული. მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორი.მოტივირებული მოსწავლე კი წარმატებული გაკვეთილის ჩატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია. რატომ უნდა ვისწავლო? – კითხულობს ბავშვი. ყველამ ვიცით ამ კითხვაზე პასუხი, თუმცა ძალიან ძნელია, აუხსნა მას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლას, რაში უნდა გამოვიყანოთ ის სამომავლოდ, როგორ დაგვეხმარება ის შემდგომ წარმატების მიღწევაში და ა.შ. განსაკუთრებით რთულია ეს დაწყებით კლასებში. ხდება ხოლმე, რომ ნიჭიერ მოსწავლეს ზოგჯერ სწავლაში დაბალი შედეგები აქვს, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ მოტივაციის არარსებობაა.

მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სისტემატიურად იმუშაოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის, გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია, ხერხები, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი,კონკრეტული მოსწავლის ხასიათი და მუშაობის სტილის თავისებურებები. მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. რადგან, ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია, მაგრამ რთულია ყველა მოსწავლე დააინტერესო ერთნაირიად და ჩართო სასწავლო პროცესში. მასწავლებელი უნდა ეცადოს,ყველა მოსწავლის გონება მიმართოს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენის, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება დაბალ აკადემიურ მოსწრებასთან.

1.4. პრობლემის აქტუალურობა

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ მივხვდი,რომ ეს საკითხი ჩემთვის პრიორიტეტული იყო, **რადგან ყველა მოსწავლის** ჩართვა ვერ ხერხდებოდა სასწავლო პროცესში დაბალი მოტივაციის გამო, სწორედ ამიტომ შევარჩიე საკვლევად ეს საკითხი. მაგრამ იმისათვის რომ კვლევა სწორი მიმართულებით წამეყვანა, საჭირო იყო დამესვა მთავარი კითხვა, რომელზედაც პასუხის ძიება, იქნება კვლევის მთავარი ამოცანა. მთავარი კითხვა კი ასეთია:

როგორ ვუზრუნველყოთ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში და როგორ ავამაღლოთ სწავლის ხარისხი?

ჩემი აზრით, ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ჩემი პროფესიული ზრდისთვის , ჩემი კლასისათვის და არანაკლებ მნიშვნელოვანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის.

კერძოდ:

სარგებელი მოსწავლეებისთვის:

გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია, შესაბამისად საგაკვეთილი პროცესში მათი ჩართულობა და გაუმჯობესდება აკადემიური მოსწრებაც.

სარგებელი მასწავლებლისათვის:

- დავადგენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ვიმოქმედებ შესაბამისად.
- შევძლებ მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივაციის ამაღლებას. დავნერგავ მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს მოსწავლეებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.
- მექნება პრაქტიკის კვლევის გამოცდილება , გავაგრძელებ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით და გავიუმჯობესებ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას.

სარგებელი კოლეგებისთვის:

დანერგავენ სხვათა გამოცდილებას საკუთარ პრაქტიკაში, კერძოდ, იხელმძღვანელებენ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშით, მოაგვარებენ მსგავს პრობლემებს.

1.5. კვლევის მიზანი

კვლევის უმთავრესი მიზანია: **იმ ფაქტორების დადგენა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას უმცროსკლასელებში**

ასევე,

- ✓ საკვლევი პრობლემის სწორად იდენტიფიცირება;
- ✓ პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- ✓ მისი სიღრმისეული შესწავლა;
  - ✓ მათი გაანალიზების საფუძველზე ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, გაზრდის მათ თვითშეფასებას, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ მოსწავლეები გააქტიურდებიან გაკვეთილებზე და გაიზრდება მათი სწავლის ხარისხი.
  - ✓ ჩამოვაყალიბოთ დასკვნები და რეკომენდაციები
  - ✓ გავუზიარო კოლეგებს კვლევის შედეგები.

1.6. კვლევის ამოცანა

კვლევის უპირველესი ამოცანაა მოცემული კვლევის განხორციელების შედეგად პასუხი გაეცეს რამდენიმე არსებით შეკითხვას:

1. რა სირთულეებს წარმოშობს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების დაბალი მოტივაცია?
2. რატომ არის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი გაკვეთილზე პასიური?
3. რას შეცვლის მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინება?
4. როგორ შეიცვლება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სწავლებაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობების შედეგად?

1.7. ძირითადი დასკვნები

კვლევა არის მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შეიძლება განვახორციელოთ სწავლა-

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მთავარი საკითხი, რომელიც კვლევისათვის შევარჩიე, იყო მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემების მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების მოძიება;

კვლევის საკითხის შერჩევა განაპირობა სასწავლო პროცესში წარმოქმნილმა სირთულეებმა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ხასიათდება დაბალი მოტივაციით და გაკვეთილზე ნაკლები ჩართულობით.

საკვლევი პრობლემის გამოკვეთის შემდეგ განვსაზღვრე ის სავარაუდო მიზეზები, რომლებიც უნდა იწვევდეს მას:

- დაბალი თვითშეფასება;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ნაკლები გათვალისწინება.

გარდა ამისა, ჩამოვაყალიბე კვლევის ძირითადი მიზანი. განისაზღვრა გზები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება მიზნის განხორციელება. აგრეთვე კვლევის ამოცანის ფარგლებში ის მთავარი შეკითხვები განისაზღვრა, რომლებზეც პასუხის გაცემა არსებითია კვლევის პროცესის წარმართვისა და საბოლოო შედეგის მიღებისათვის.

თავი 2.

ლიტერატურული მიმოხილვა

მოტივაცია არის იმპულსი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებისკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს.

ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. დიმიტრი უზნაძე მოტივს ,,ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს“ უწოდებდა. მოტივს აქვს სამგვარი ფუნქცია: აღძრავს ქცევას, აძლევს მას მიმართულებას და უზრუნველყოფს მის შესრულებას. ინტელექტის ყველაზე პოპულარული ტესტის ავტორი რავენი წერდა: ,,ქცევა განისაზღვრება მოტივაციით ბევრად მეტად, ვიდრე უნარით. ფსიქოლოგების, პედაგოგების ამოცანაა მოახდინოს თავისი ძალების კონცენტრაცია მოტივაციის შეფასებაზე.“
დასავლური ფსიქოლოგიური სკოლა გამოარჩევს ე. წ. შინაგან და გარეგან მოტივაციას. შინაგანი მოტივაცია განაპირობებს კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვას შინაგანი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილით. შინაგანი მოტივაციის გასაღვივებლად მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა ვუბიძგოთ აზროვნებისკენ, შემეცნებისკენ. აქ განმსაზღვრელია მოსწავლის შინაგანი ინტერესი, რომელიც მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს. გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისთვის მოელის ჯილდოს, წახალისებას. ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლეებისათვის არ იყოს საინტერესო.
სიტყვა მოტივირება მიღებულია ლათინური სიტყვიდან „motus” და მოძრაობას ნიშნავს. ზოგადად, რაც უფრო ნათლად არის მიზანი ჩამოყალიბებული, მით უფრო ადვილია საკუთარი თავის

„ამოძრავება“ და მიზნის მიღწევა. საქმე უფრო რთულადაა, როცა საქმე სხვების მოტივირებას ეხება. პრობლემა რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უნიშვნელოვანესია დღევანდელ სკოლაში, არის სწავლისადმი დაბალი მოტივაცია როგორც მოსწავლეებში, ასევე მშობლებსა და მასწავლებლებში. ცნობილია , რომ არა მარტო სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია გულისხმობს ისეთი ფაქტორებისა და სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს სწავლის ხალისსა და უნარს შემატებს.

„ცუდი პედაგოგი ღაღადებს ჭეშმარიტებაზე, კარგ მასწავლებელს კი მოსწავლეები მიჰყავს ჭეშმარიტებამდე,“ (პესტალოცი) იმისთვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები ჭეშმარიტებამდე მიიყვანოს, რასაც დღეს შედეგზე გასვლას უწოდებენ, მნიშვნელოვანია გამოიყენოს მოტივაციის სხვადასხვა ხერხები. მოტივაცია ეს ის ფაქტორია, რომელიც საფუძველს უქმნის ცოდნის მიღების ხარისხს. ბავშვი დაბადებიდანვე მიისწრაფვის სიახლეებისკენ, რაც მისი წარმატებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. თუ მოსწავლეს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება და ემოციები სწავლისადმი, მაშინ მისი მოტივაცია მცირდება, შესაბამისად ცოდნის დონეც დაბალია. მაგრამ, თუ სწავლის პროცესი დაკავშირებულია მოსწავლის ინტერესებსა და დადებით ემოციებთან, მაშინ მოზარდისთვის სწავლა ხდება ბუნებრივი ინტერესებისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. სკოლისა და მასწავლებლის უმთავრესი დანიშნულებაც სწორედ ესაა, რომ სწავლის პროცესი არა იძულებით, არამედ ბუნებრივ, სახალისო პროცესად აქციოს.

ცნობილია, რომ მოტივაციას განაპირობებს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული გარემოდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები. გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი, ამდენად, ფოკუსი ცნობისმოყვარეობის გამოწვევაზე უნდა გაკეთდეს. სწავლების პროცესში ჩადებული უნდა იყოს სკოლის და მასწავლებლის მხრიდან სტრატეგიები, რომლებიც გაზრდიან შინაგან და გარეგან მოტივაციას.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენის, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძებს.

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ

გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის…) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის…) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის…) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების…) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები _ ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორიც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა.შ.

. რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დადგენას სწავლის მოტივაციისთვის?

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების განმსაზღვრელი შეიძლება განსხვავებული დონის მოტივაცია იყოს. მაგალითისთვის მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას, რომელიც სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებას ეხებოდა. მოსწავლის მიერ დავალების კარგად შესრულება შესაძლოა განპირობებული იყოს: დასჯის შიშით, საჩუქრის მიღების დაპირებით, აღიარების მოთხოვნილებით, ინტერესით და სხვ.მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

როგორც განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. თუ გვსურთ, ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, ამისთვის აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე _ უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შევქმნათ ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა
.იოჰან ვოლფგანგ გოეთეს თუ დავესესხებით, „სწავლება ბევრს ნიშნავს, წახალისება კი ყველაფერს“. მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობა. მართლაც, ვინ თუ არა პედაგოგმა უნდა გაუჩინოს სიახლისადმი ინტერესი მოსწავლეს, მისცეს მიმართულება, ასწავლოს არა მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოები,

არამედ ის, თუ როგორ შეიძინოს ახალი ცოდნა ამა თუ იმ საკითხზე.
ჩემი, როგორც მასწავლებლის მთავარი მიზანიც ეს არის — დავეხმარო მოსწავლეს სწავლის სწავლაში, უფრო კონკრეტულად კი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ასახული „საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარის“ გამომუშავებაში, ვინაიდან, სწორედ ეს უნარი განაპირობებს ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრასა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას“.

თავი III

3.1. კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება					
კვლევის გეგმის შემუშავება					
კვლევის მეთოდების შერჩევა					
კვლევის კითხვარების შედგენა					
მონაცემთა შეგროვება					
მონაცემთა ანალიზი					

ინტერვენციების განხორციელება					
ინტერვენციების შედეგების ანალიზი					
კვლევის პრეზენტაცია					

3.2 კვლევის სამიზნე ჯგუფი

პროექტის სამიზნე ჯგუფი არის ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხური, კერძოდ, მე-3 კლასის 16 მოსწავლე, რომელთაგან 7 გოგონაა და 9 ვაჟი.

შერჩევა

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის სამიზნე ჯგუფია კონკრეტულად ერთი კლასი, ამიტომ გამოვიყენე სრული შერჩევის მეთოდი. ერთი მხრივ, მე-3 კლასის ყველა მოსწავლე, ხოლო მეორე მხრივ, ის მოსწავლეები, რომლებიც გამოირჩევიან დაბალი მოტივაციით.

3.3. კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგია: პრობლემის შესწავლისა და მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად გამოვიყენე კვლევის როგორც ***თვისებრივი,*** ისე ***რაოდენობრივი*** მეთოდები, რადგან „კვლევის თვისებრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ, ხარისხობრივ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები ადგენს პრობლემის რაოდენობრივი გავრცელების სურათს“ (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მე-2 ნაწილი, გვ.68).

კერძოდ, ***თვისებრივი კვლევის*** მეთოდებიდან შევარჩიე ***დაკვირვება*** (გამოვიყენე *ჩართული დაკვირვება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს, ფოკუსირებულ დაკვირვებასა და შერჩევითი დაკვირვებას),* ***ფოკუსჯგუფი.***

რაოდენებრივი კვლევის მეთოდებიდან კი შევარჩიე ***ანკეტირება და ზეპირი ინტერვიუ.***

კონკრეტულად გამოვიყენე:

- ✓ გასაუბრება პედაგოგებთან;
- ✓ მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვა;
- ✓ მშობელთა ანკეტური გამოკითხვა;
- ✓ პედაგოგთა ანკეტური გამოკითხვა;
- ✓ ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან;
- ✓ ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე;
- ✓

3.4. კვლევის განხორციელების გეგმა:

- ➢ ინფორმაციის მოპოვება;
- ➢ მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება;
- ➢ კვლევის შედეგებზე მსჯელობა, დასკვნების გამოტანა;
- ➢ გეგმების დასახვა პედაგოგებთან ერთად;
- ➢ დასახული გეგმების -ინტერვენციის განხორციელება;
- ➢ მიღებული შედეგები და მათი ანალიზი;
- ➢ გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის.

თავი IV

მონაცემთა შეგროვება

კვლევის ეტაპების დაწვრილებითი აღწერა:

4.1. I ეტაპი-პედაგოგებისათვის აზრის გაზიარება, ანკეტური გამოკითხვა და შედეგების ანალიზი

საკვლევი თემის არჩევის შემდეგ, რომელიც ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის აქტუალურობიდან გამომდინარე შევარჩიე, იდეა გავუზიარე კოლეგებს (დაწყებითი კლასის პედაგოგებს). მათ საუბარში აღნიშნეს, რომ ეს საკითხი მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან სწავლისადმი მაღალი მოტივაცია, მოსწავლის წარმატების ყველაზე დიდი გარანტია. ამიტომ გადავწყვიტე გამოკითხვა დამეწყო სწორედ მათგან. (გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 9 მასწავლებელმა).

გამოკითხვისათვის კი გამოვიყენე ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ (იხ. დანართი 1, დანართი 5). ინტერვიუსათვის წინასწარ შევარჩიე კითხვარი, მაგრამ საუბარში საინტერესო კითხვები გაჩნდა დამატებით.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრება, თუ რას ფიქრობდნენ პედაგოგები ამ საკითხზე და მათი დაკვირვების შედაგად, რომელია ის ფაქტორები და აქტივობები, რომლებიც სწავლებაში მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას იწვევს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისა და ანკეტირების დროს გამოიკვეთა, რომ:

- მასწავლებლები ყოველთვის ვერ ახერხებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი შესაძლებლობების მიხედვით გაკვეთილის დაგეგმვას და წარმართვას.
- დროის სიმცირის გამო, უჭირთ ყველა გაკვეთილზე ეფექტურ უკუკავშირის გაცემა.
- მასწავლებელთა შორის ნაკლებია თანამშრომლობა.


უზიარებთ თუ არა საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს?
33%
22%
45%
ყოველთვის
იშვიათად
არა


გეგმავთ თუ არა სასწავლო პროცესს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით?
22%
22%
56%
დიახ
არა
ვერ ვახერხებ ყოველთვის



4.2. II ეტაპი- მოსწავლეთა ანკეტური და ინტერვიუს საშუალებით გამოკითხვა და მისი შედეგების ანალიზი

ვადგენ კითხვარებს მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვისათვის, ვიყენებ დახურული ტიპის შეკითხვებს, რომლებსაც თან ახლავს პასუხების შესაძლო ვარიანტები, იმისათვის რომ მოსწავლეთა პასუხები იყოს გულწრფელი, ზუსტი და სანდო, ვიცავ ანონიმურობის პრინციპს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მე-3 კლასის 16 მოსწავლემ. (იხ. დანართი 2). კითხვარი დამეხმარა გამერკვია, როგორია მათი ინტერესები, როგორი გაკვეთილები მოსწონთ და რა დროს ერთვებიან სწავლებაში ხალისით. როგორია ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობა, არის თუ არა მათთვის საშინაო დავალება რთული და გაუგებარი და სხვ

ანკეტირების შედეგების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც უნდა გავითვალისწინო ინტერვენციების დაგეგმვის დროს, კერძოდ:

- საჭიროა მოსწავლეთა შორის პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.
- მოსწავლეებს მოსწონთ ელექტნონული რესურსებით მუშაობა და მაღალი აქტივობით ერთვებიან სასწავლო პროცესში.
- კარგად რეაგირებენ გარეგან მოტივატორებზე.
- მოსწავლეებს მოსწონთ კეთებით სწავლება.(ხატვა, გამოჭრა, ჩაწებება და სხვა).


რა სიხშირით ერთვები საკლასო აქტივობაში?
19%
19%
62%
ყოველთის ხალისით ვერთვები
ზოგჯერ ვერთვები
ვფიქრობ, ვერ შევძლებ აქტიურობას


ხომ არ გეშინია კითხვაზე პასუხის გაცემის, იმიტომ, რომ შეცდომის შემთხვევაში ამხანაგები დაგცინებენ?
19%
6%
75%
კი
არა
ხანდახან



ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან

ჩავატარე ასევე ინტერვიუ რამდენიმე ბავშვთან (ინტერვიუში ჩავრთე ნაკლებედ მოტივირებული მოსწავლეც). ინტერვიუ შეიცავდა რამდენიმე კითხვას, რომელმაც საშუალება მომცა განმესაზღვრა მოსწავლეთა დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. (იხ. დანართი 3).

ინტერვიუს მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- აუცილებელია დაცული იქნას ბალანსი ნასწავლსა და ახალ მასალას შორის, რათა დავალების სირთულემ და დაუძლევლობის შიშმა მოსწავლე არ გადაიყვანოს პასიურ მდგომარეობაში.
- . აუცილებელია წავახალისოთ ბავშვები, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.
- მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს შიში ნეგატიური შეფასებისა და კრიტიკისა.
- ბავშვებს მოსწონთ ჯგუფური მუშაობა.

4.3. III - ეტაპი მშობელთა ანკეტური გამოკითხვა და შედეგების ანალიზი

წინასწარ შევადგინე ასევე მშობელთა ანკეტირებისათვის კითხვარი. საგანგებოდ მოვიწვიე ისინი სკოლაში და ვთხოვე, რომ ყოფილიყვნენ გულწრფელნი ანკეტის შევსების დროს (დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი). ავუხსენი მათ, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იყო სკოლის მოსწავლეთა მოტივაციის გაუმჯობესებისათვის. მშობლებს ჰქონდათ 2-3 დღე კითხვარის შესავსებად. დროის ეს მონაკვეთი მათ შესაძლებლობას აძლევდათ სრულად და ყურადღებით შეევსოთ კითხვარი. კითხვარმა მომცა საშუალება, დამედგინა მშობლების დამოკიდებულება და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. (იხ. დანართი 4)





ანკეტირების შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ:

- მშობელები ნაკლებად არიან ჩართულები თავიანთი შვილების სწავლის პროცესში.
- ბავშვი ხალისით ასრულებენ ისეთ საშინაო დავალებებს, რომელიც არის მარტივი, ანუ მათთვის გასაგები, ასევე საჭიროებს ხატვას, გამოჭრას ან ზოგადად კეთებას.
- მშობელთა ნაწილი ზოგჯერ მიმართავს დასჯას შვილის მიმართ, როცა ბავშვებს უჭირთ სამეცადინოდ დაჯდომა.
- შობლებს სჭირდებათ მეტი პედაგოგიზაცია.

V თავი

ინტერვენცია

5.1. ინტერვენციის დაგეგმვა

გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და სამოქმედო გეგმის დასახვა მეტად საპასუხისმგებლო

საკითხია. თავისთავად გასაგებია, რომ პრობლემას ისედაც ვხედავთ, მაგრამ როგორ დავძლიოთ ის, აი ეს არის მთავარი.

1. ამრიგად, დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია გავუზიარე კოლეგებს, გავიარე კონსულტაციები მათთან, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, უფრო სწორად აქტივობები, რომლებიც საშუალებითაც ვუზრუნველყოფდი ყველა მოსწავლის დაინტერესებას სასწავლო პროცესის მიმართ.

გადავწყვიტე:

1. **გაკვეთილები დამეგეგმა შემდეგი სტრატეგიების გათვალისწინებით:**

- შევუქმნათ ბავშვებს სწავლებაზე ფოკუსირებული და მამოტივირებელი გარემო;
- ვაგრძნობინოთ თავი მოსწავლეს კომპეტენტურად;
- გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები;
- სასწავლო პროცესში ჩავრთოთ დიდაქტიკური თამაშები, კონსტრუქტივისტული მეთოდებით სწავლება;
- მივცეთ ბავშვს კონსტრუქციული უკუკავშრი სწავლის პროგრესის შესახებ;
- ჩავატაროთ გაკვეთილები მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე;
- აღუძრათ მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა: პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; ვიზუალური და აუდიომასალით; და სხვა.
- ხშირად ჩავრთოთ სწავლებაში ტექნოლოგიები;
- გამოვიყენე G-PRIED-ის სარესურსო წიგნი (სქემები, დიაგრამები. პერსონაჟის რუკები და სხვა).

2. **დავგეგმე სასწავლო პროექტის განხორციელება „წყალი ბუნებაში“.**

3. **დავგეგმე და მუშაობაში ჩავრთე, ვიდეოგაკვეთილები და „ შებრუნებული საკლასო ოთახის“ ტიპის გაკვეთილები.**

4. **სწავლებაში ჩავრთე მულტფილმების ჩვენება და მათი განხილვა-გაანალიზება.**

რაც შეეხება მშობლებს, გადავწყვიტეთ:

5. **ჩავატაროთ მშობელთა კრებები მათი პედაგოგიზაციის მიზნით.**

5.2 დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

დაგეგმილი აქტივობები ეტაპობრივად განვახორციელე:

1) დავგეგმე და ჩავატარე ფოკუსირებული გაკვეთილები ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. დავაკვირდი საგაკვეთილო პროცესებს ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე დაბალმოტივირებულ მოსწავლეებს, ისინი იყვნენ ჩემი ფოკუსჯგუფი, გავითვალისწინე მათი ინდივიდუალური სურვილები, მათი მზაობა შესაბამისი გაკვეთილისადმი, რათა დაძლევადი ყოფილიყო მათთვის შერჩეული აქტივობები. სავარჯიშოები გაკვეთილებისათვის შევარჩიე მათი ინდ. საჭიროებიდან გამომდინარე. ვაკეთებდი ჩანაწერებს, ჩანიშვნებს, რომელიც გამომადგებოდა ანალიზის დროს. (**იხ. დანართი 7. X მოსწავლეზე დაკვირვების გრაფიკი**). მათზე დაკვირვება ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, რადგან დაკვირვება მაძლევდა იმის საშუალებას მიმეცა მათთვის საჭირო განმავითარებელი შეფასება, ამ გაკვეთილებით მინდოდა ბავშვებს შექმნოდათ თვითრწმენა, რადგან თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

შევურჩიეთ შესაბამისი თემები, რომელიც იყო გასაგებად გადმოცემული და მათი ინტერესების შესაბამისი. მოვახდინეთ სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების თანხვედრა. მივეცით მათ არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება, შევქმენი ჰომოგენური ჯგუფებიდა სხვ.

გაკვეთილების პროცესში მოსწავლეები მუდმივად იღებდნენ უკუკავშირს მათი წარმატებისა და საჭიროებების შესახებ. მინდა აღვნიშნო, რომ ქართულის გაკვეთილებზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა კომიქსებით მუშაობის დროს. დაბალი მოტივაციის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ საწავლო პროცესში, იმუშავეს როგორც ინდივიდუალურად ასევე წყვილებში.

2) მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭირო და აუცილებელია წახალისება,საკლასო ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩართვის გზით. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი და არა სტრესული გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. ამისათვის კლასში განვახორციელეთ **სასწავლო პროექტი, „წყალი ბუნებაში“**. პროექტის მიზანი გადიოდა ეკოლოგიურ პრობლემებზე. დაბალმოტივირებულ

მოსწავლეებს აქაც მივეცი არჩევანის საშუალება, მოეძიათ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, იმუშავეს ჯგუფთან ერთად. მივეცით მათ საშუალება გაეკეთებინათ პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე P.P-ის საშუალებით. (პროექტ-გაკვეთილზე გვესწრებოდნენ მშობლები და პედაგოგები). მოსწავლეები შესაბამისად მოტივირებულინი იყვნენ, მიეცათ საკუთარი შესაძლებლობების, ღირსების, საკუთარი მისწრაფებებისა და ინტერესების უკეთ წარმოდგენის საშუალება, მიაღწიეს მიზანს და ამისათვის დაიმსახურეს შექება. პროექტის დასასრულს ბავშვები დავაჯილდოვე სიგელებით.

3) რამდენჯერმე ჩავატარეთ მშობელთა კრება, ვესაუბრეთ მშობლებს ბავშვებთან ურთიერთობის საკითხებზე, მოვასმენინეთ ცნობილ ფსიქოლოგთა მიერ წაკითხული ვიდეოლექციები.

4) მაღალი აქტივობა დაფიქსირდა „შებრუნებული საკლასო ოთახის“ გაკვეთილებზე. მუშაობა წარიმართა ელექტრონული ფორმატით. ვიზუალურმა მასალამ მოსწავლეთა მოტივაცია აამაღლა. შემოტანილი მქონდა კლასგარეშე ლიტერატურით შექმნილი ელ. წიგნი: „სამი ლეკვის თავგადასავალი“ - მ. წერეთელი, „სიკეთის საზღაური“. ბავშვებმა იმუშავეს ჯგუფებში და წყვილებში, საგაკვეთილო პროცესში ჩართული იყო ყველა მოსწავლე. ბავშვებს შევთავაზე ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა სირთულის დავალებები და აქტივობები. რითაც შესაძლებლობა მომეცა გამეთვალისწინებინა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.

5) რამდენჯერმე ვაჩვენე კლასს მულტფილმი. მათ შორის ქართული მულტილმები: „ბუნების მგოსნები“, „ყურშა გაყოყოჩდა“ და „საზამთრო“. ვთხოვე მოსწავლეებს თითო კითხვა დაესვათ მულტფილმის გმირებისათვის, გაინაწილეს და გაითამაშეს როლები, ბოლოს ნახატებით წარმოადგინეს მათი საყვარელი პერსონაჟები. აქტივობაში ყველა მოსწავლე მონაწილეობდა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი აქტივობები სრულიად განვახორციელე ჩემს მოსწავლეებთან ერთად.

5.3. აქტივობების განხორციელებით მიღებული შედეგების ზოგადი მიმოხილვა-ინტერვენციის შეფასება

ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციის შედეგი იყო დამედგინა, როგორ გაიზრდებოდა მოსწავლეთა მოტივაცია სხვადასხვა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ინტერვენციის შედეგები და შეფასება გასაოცარი იყო, მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ ზარის ხმის გაგონებას და გაკვეთილის დაწყებას. მოტივაცია იყო მაღალი, ყველა მოსწავლე ცდილობდა გაკვეთილზე აქტიურობას.

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის, მონაცემების ანალიზისა და ჩატარებული აქტივობებზე

დაკვირვებით განვსაზღვრეთ მოსწავლეთა დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ (ვაკეთებდი ჩანაწერებს და ჩანიშვნებს). განსაკუთრებულ დაკვირვებას ვაწარმოებდი ნაკლებად მოტივირებული მოსწავლეების მიმართ. ამრიგად ფოკუსჯგუფზე შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ ბავშვები ხალისით ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომელიც მოითხოვს პრაქტიკულ მუშაობას, კეთებას, ხატვას, მოსწონთ კროსვორდები, გამოცანები, ასოციაციური სავარჯიშოები,კომიქსებით წერა, ვიდეორესურსებით მუშაობა, ხალისით ერთვებიან ასევე ჯგუფურ მუშაობებში, მოსწონთ მათი ინდ. საჭიროების მიხედვით შედგენილი ანუ დაძლევადი დავალებები.

რაც შეეხება პროექტს, ერთობლივად ვიმუშავეთ პროექტზე „წყალი ბუნებაში“, სადაც ბავშვებს საშუალება ჰქონდათ ემუშავათ ჯგუფებში, ყველა ბავშვს ჰქონდა საკუთარი პასუხისმგებლობა მის მიერ არჩეულ საკითხზე. აქტივობების განხორციელების პროცესში ეტაპობრივად ხდებოდა გარკვეული სიძნელეების გადალახვა და შედეგებზე გასვლა. დაინახეს საკუთარ პროგრესი და წარმატება, გაუჩნდათ სტიმული, ობიექტურად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები და განიმტკიცეს თვითრწმენა. შეძლეს კომუნიკაციის გაუმჯობესება ჯგუფური მუშაობის საშუალებით. და ბოლოს, ბავშვებს გაუჩნდათ გრძნობა, რომ ამქვეყნად დაუძლეველი არაფერია, ნეგატიური რწმენა პოზიტიურით შეეცვლათ. ჯგუფში ჩამოყალიბდა კომფორტული, ჯანსაღი გარემო, სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესად იქცა. იგრძნობოდა გუნდურობა და თანამშრომლობა. კარგად იმოქმედა გარეგანმა მამოტივირებელმა საშუალებამ „სიგელმა“, ბავშვები სიამაყის გრძნობით აღვსილნი აჩვენებდნენ ერთმანეთს საკუთარი წარმატების ფურცელს.

მოსწავლეთა მშობელთა კრებების ჩატარება უზრუნველყოფს, მშობლებთან ხშირი კომუნიკაციის დამყარებასა და თანამშრომლობას, რაც გულისხმობს მათ ჩართულობას თავიანთი შვილების სწავლის პროცესში და ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში წინაპირობა იქნება მათი შვილების სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებისთვის , ისინი სწავლის პროცესს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.

მულტფილმების ჩვენების დროსაც დაფიქსირდა მოსწავლეთა მაღალი აქტივობა, გაიმართა დისპუტი, სადაც ნაკლებმოტივირებული მოსწავლეები აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას, მათ გაუჩნდათ სურვილი, რომ მომავალშიც ჩატარდეს მსგავსი აქტივობა.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ინტერვენციის მიმდინარეობისას ვაკეთებდი ჩნაწერებს და ერთმანეთს ვადარებდი მოსწავლეების აქტიურობას ინტერვენციის განხორციელებამდე და მისი განხორციელების შემდგომ, ამის საფუძველზე ვზომავდი თითოეული ინტერვენციის სარგებლიანობას და ვგეგმავდი სამომავლო ინტერვენციებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა აქტივობა ბოლომდე წარმატებით განხორციელდა და საკმარისია იმისთვის, რომ ყველა მოსწავლემ მიაღწიოს მაღალ აკადემიურ წარმატებას, არამედ აღნიშნული ინტერვენციები არის მხოლოდ მცირე

ნაწილი იმ ერთიანია კომპლექსური პროცესისა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და აქტიურობის ზრდას, აუცილებელი და მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის აქტივობებს ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი და გაკვეთილზე დასწრება მოსწავლისათვის არ იყოს მხოლოდ ვალდებულება და იძულება, არამედ ეს იყოს პროცესი, სადაც ხდება თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება და მორგება ისე, რომ ყველამ მიიღოს მაქსიმალური სარგებელი.

5.4. შემაჯამებელი სადიაგნოსტიკო ტესტი

(მონაწილეობდა16 მოსწავლე)

მხოლოდ მასწავლებლების მიერ გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ძნელია ზუსტი დასკვნების გამოტანა და რაიმეს მტკიცება, ამიტომ გადავწყვიტე სადიაგნოსტიკო კითხვარით მიმემართა მოსწავლეებისათვის, რომლებიც ინტერვენციაში მონაწილეობდნენ.




მოგწონთ თუ არა გაკვეთილები, რომლებსაც მასწავლებელი გიტარებთ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით?
კი
არა
ხანდახან
0%
13%
87%


გახდა თუ არა სწავლა შენთვის სახალისო?
კი
არა
ნაწილობრივ
0%
19%
81%



მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართულობის თვალსაზრისით ცვილებები ნამდვილად შეინიშნებოდა. მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა,რომ მათი უმეტესობა ძალიან კმაყოფილია. გამოხატეს სურვილი,რომ მსგავსი ტიპის გაკვეთილებოც მომავალშიც ჩატარდეს, რადგან ხდებიან უფრო მეტად მოტივირებულები და უღვივდებათ ინტერესი არასტანდარტული გაკვეთილების მიმართ. გამოკითხვის დეტალები ასახულია დიაგრამებზე.

როგორც ვხედავთ, სურათი რადიკალურად შეიცვალა, თუ შევადარებთ საწყის კითხვარებს.

5.5. დასკვნა

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე , რომელიც მოიცავდა მოსწავლეთა ნაწილის დემოტივიზაციის პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა მოტივაცია ინდივიდუალურია, გაკვეთილის ეთფეროვნება მათ სტიმულს უკარგავს. სხვადასხვა აქტივობებით, რესურსებით გაჯერებული , განსხვავებული, ახლებური, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული გაკვეთილები ბავშვებში შემოქმედებით აზროვნებას, შინაგანი მოტივაციის ამაღლებას, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და თვითგამოხატვის უნარებს ავითარებს.

მოტივაციის ამაღლება მეტად შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია , რომელიც შედეგს არ მოგვცემს რამდენიმე გაკვეთილზე. მას სჭირდება სისტემატიური მუშაობა, მთავარია მასწავლებელმა გააკეთოს მიგნებები მოსწავლეთა ინტერესების სფეროსთან და მუდმივად განახორციელოს ის.

ჩემი კვლევიდან გმომდინარე გავაკეთეთ რამდენიმე დასკვნა:

სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელების და შფასების ეტაპებს) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებში სწავლისადმი დაბალი მოტივაციის მიზეზებია:

- მოსწავლეთა დაბალი თვითშეფასება.
- მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალიზმის ნაკლები გათვალისწინება.
- სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული მეთოდების ნაკლებად ჩართვა.
- წერილობითი, კონსტრუქციული უკუკავშირის ნაკლებობა.
- საშინაო დავალებების სირთულე და სიმრავლე.
- მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში.

5.6. რეკომენდაციები

ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე დავადგინე, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას (მათ მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში) ხელს უწყობს შემდეგი სტრატეგიების განხორციელება:

- სასწავლო პროცესის გამდიდრება-დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და სწავლების ახალი მეთოდებით. ამით სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის უფრო სახალისო დასაინტერესო იქნება.
- მოსწავლეთა გააქტიურებისა და საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვისათვის საჭიროა: ჩავატაროთ დისკუსიები, გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობები, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა.
- ჩავრთოთ მოსწავლეები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სავარჯიშოების, კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების მომზადების პროცესში. ეს არა მხოლოდ გაზრდის მათ მოტივაციას, რამედ მასალის ათვისებასაც შეუწყობს ხელს.
- გამოვიყენოთ განსხვავებული სირთულის დავალებები-შევთავაზოთ მათ ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა სირთულის დავალებები და აქტივობები.ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ამით ავამაღლოთ მათი მოტივაცია.
- შევქმნათ კლასში პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლეებს კრიტიკისა და შეცდომების დაშვების შიში არ ექნებათ.
- მივაწოდოთ მოსწავლეებს დადებითი უკუკავშირი, შენიშვნა ვაქციოთ რჩევად, რომელსაც გაითვალისწინებს. მივაწოდოთ მეტი პოზიტიური კომენტარი. ჩვენს მიერ მიწოდებული

კომენტარი იყოს ვრცელი და ამომწურავი.

- ნუ გავაკრიტიკებთ მოსწავლეს საჯაროდ, რადგან საჯარო კრიტიკა ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ასევე ამგვარი მიდგომა აქვეითებს მოსწავლის ნდობასა დაპატივისცემას მასწავლებლის მიმართ. ვიყოთ მიუკერძოებლები და სამართლიანები.
- პატივი ვცეთ ბავშვის აზრს, მივცეთ მათ არაჩევანის საშუალება.
- გავუღვივოთ მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა: პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; ვიზუალური და აუდიომასალით; მოკლე ისტორიული ექსკურსით და ა.შ.
- მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში სწავლების თანამშრომლობითი მეთოდების გამოყენება, ვინაიდან მოზარდები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან უკეთ სწავლობენ;

- მნიშვნელოვანია მშობელთა ინფორმირება, იმასთან დაკავშირებით, რომ ოჯახის დამოკიდებულება სწავლისადმი გავლენას ახდენს უმცროსი მოზარდების სწავლის მოტივაციაზე;
- ბავშვზე ორიენტირებული, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, ვინაიდან მოზარდები უფროსებისგან მეტად მოითხოვენ, მეგობრულ ურთიერთობას, რაც დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე, განსხვავებით ავტორიტარული გარემოდან, რა შემთხვევაშიც იზრდება ნეგატივიზმი და სიჯიუტე;

- კლასში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, მოსწავლეთა ნაშრომების პრეზენტაცია ფართო აუდიტორიის წინაშე, რაც მათდამი გაზრდის პატივისცემით დამოკიდებულებას. პატივისცემისა და პრესტიჟის მოთხოვნილება კი მოზარდთა სწავლის მოტივაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია.
- წავახალისოთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.
- ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართეთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დავანახოთ საკუთარი მნიშვნელობა;
- გამოვხატოთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;
- გავითვალისინოთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

5.7. კვლევის ნაკლოვანებები

რაც შეეხება კვლევისა და ინტერვენციის პერიოდში არსებულ ნაკლოვანებებს, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა და ინტერვენციები მიმდინარეობდა დაახლოებით 3 თვის განმავლობაში, ვერ მოხერხდა ყველაფრის განხორციელება, რაც წარმოადგენს აღნიშნული კვლევის ნაკლს, ასევე ყველა მშობელმა ტესტირებით გამოკითხვის დროს, ვერ მოახერხა მონაწილეობის მიღება. ვერ განხორციელდა ასევე

მშობელთა სადიაგნოსტიკო გამოკითხვა. (ეს თემა ვფიქრობ გამოსაკვლევად საინტერესო იქნება).

ამასთანავე მოსწავლეთა უკუკავშირისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, რომ უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოხდეს მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვება, რათა მიღებულ შედეგს არ ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი და ის ინტერვენციები, რომელიც წარმატებით განხორციელდა ამ კონკრეტული კვლევის მიმდინარეობისას მთლიან სასწავლო ციკლზე განზოგადდეს და ადაპტიდეს.

კვლევის დროს გამოყენებული მასალები

დანართი-1 კითხვარი პედაგოგებისათვის

მოგესალმებით!
კოლეგებო, ჩემს მიერ წარმოებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისათვის მჭირდება თქვენი მონაწილეობა, თქვენი აზრი ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. არაა საჭირო კითხვარზე სახელის და გვარის მითითება.
მადლობა წინასწარ!

1. განსაზღვრავს, თუ არა სასწავლო პროცესის წარმატებას მოსწავლეთა მოტივაცია?
   ა) დიახ
   ბ) არა
   გ) ნაწილობრივ
2. ხომ არ ფიქრობთ, რომ დღევანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაინტერესებას?
   - დიახ
   - არა

- ნაწილობრივ

3. გეგმავთ თუ არა სასწავლო პროცესს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით?
   - დიახ
   - არ ა
   - ვერ ვახერხებ ყოველთვის
4. რამდენად ხშირად აწვდით მშობლებს ინფორმაციას მისი შვილის პროგრესისა და საჭიროებების შესახებ?
   - ყოველ კვირას
   - თვეში ერთჯერ
   - ყოველ სემესტრში
   - წელიწადში ერთჯერ
5. რა საშუალებებს იყენებთ მოსწავლეთა გარეგანი მოტივაციის ასამაღლებლად?
   - სტიკერებს
   - ვაძლევ სიგელს
   - ვაქებ
6. მოტივაციის ამაღლების რომელ საშუალებებს იყენებ უფრო ხშირად?
   - შინაგანს
   - გარეგანს
   - ორივეს
7. აძლევთ თუ არა მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას?
   - დიახ
   - არა
   - ყოველთვის ვერ ვახერხებ
8. უზიარებ თუ არა შენს გამოცდილებას კოლეგებს?
   - ყოველთვის
   - იშვიათად
   - არა
9. ატარებთ თუ არა ისეთ მშობელთა კრებებს სადაც ეწევით მშობელთა პედაგოგიზაციას?
   - კი
   - არა
   - იშვიათად
10. რამდენად ხშირად აძლევთ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას კომენტარების სახით?
   - ყოველდღე
   - კვირაში ერთჯერ

- იშვიათად
- ვერ ვახერხებ დროის სიმცირის გამო

11. რომელი სახის აქტივობებში უფრო ხალისით ერთვებიან თქვენი მოსწავლეები?
    - ყველა სახის აქტივობებში
    - კონსტრუქტივისტულ აქტივობებში
    - უყვართ დიდაქტიკური თამაშები
    - მათ მიერ არჩეულ აქტივობებში.

დანართი 2 - კითხვარი მესამე კლასის მოსწავლეებისათვის

გთხოვთ უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. სახელის და გვარის მითითება საჭირო არ არის.

1. მოგწონთ თუ არა თქვენი საკლასო ოთახი, გიხარიათ თუ არა საკლასო ოთახში ყოფნა?

ა) მომწონს

ბ) არ მომწონს

2. წარმატების შემთხვევაში თუ წაგახალისებთ ან შეგაქებთ მასწავლებელი?

ა)დიახ

ბ) არა

გ) ხანდახან

3. მოგწონს თუ არა გაკვეთილზე ელექტრონული წიგნებით მუშაობა?

ა) დიახ

ბ) არა

4. როგორი გაკვეთილი მოგწონთ?

ა) როცა გაკვეთილს მასწავლებელი ხსნის და მე ვუსმენ

ბ) როცა ახსნის დროს მეც ვარ ჩართული

გ) როცა პრაქტიკულად ვაკეთებ რამეს (ვჭრი, ვაწებებ, ვხატავ, კუბიკებით ვაწყობ და ა.შ.) შედეგებს ვინიშნავ და ვაკეთებ პრეზენტაციას.

5. მოგწონთ თუ არა ჯგუფური მუშაობა?

ა) კი

ბ) არა

6. მოგწონთ თუ არა, როცა მასწავლებელს გაკვეთილზე ისეთი ტექსტები შემოაქვს, რომელიც თქვენს სახელმძღვანელოში არ არის?

ა) არა

ბ) კი

7. შეფასების რომელი სისტემა უფრო მოგწონთ?

ა) დაწერილი კომენტარი

ბ) გაღიმებული მზე

გ) სიტყვიერი შექება

8. როგორ იქცევა მშობელი, როცა გეზარება საშინაო დავალების შესრულება?

ა) მსაყვედურობს

ბ) მიყვირის

9. ხომ არ გეშინია კითხვაზე პასუხის გაცემის , იმიტომ, რომ შეცდომის შემთხვევაში ამხანაგები დაგცინებენ?

ა) კი

ბ) არა

გ) ხანდახან

10. მოგწონს თუ არა, როცა კლასის წინაშე პრეზენტაციას აკეთებ?

ა) მომწონს

ბ) არ მომწონს, რადგან მიჭირს

გ) მომწონს, მაგრამ მრცხვენია

11. ვინ გეხმარება სახლში დავალების შესრულებაში?

ა) მარტო ვასრულებ

ბ) მშობლები მეხმარებიან

გ) და-ძმა მეხმარება

12. ხომ არ არის რთული დავალებები, რომლებსაც სახლში გაძლევს მასწავლებელი შესასრულებლად?

ა) კი

ბ) არა

გ) ზოგჯერ

დანართი-3. კითხვარი მოსწავლეთა ინტერვიუსათვის

1. მოგწონთ თუ არა მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული გაკვეთილი?
2. განსაზღვრავს თუ არა გაკვეთილზე ჩართულობას მასწავლებლის შექება?
3. ხომ არ არის საკლასო დავალებები შენთვის რთული და გაუგებარი?
4. მოგწონთ თუ არა ჯგუფური მუშაობა?
5. როგორი სახის აქტივობები მოგწონს გაკვეთილზე?

დანართი 4- კითხვარი მესამე კლასის მოსწავლეთა მშობლებისათვის

მოგესალმებით!

ვატარებ პრაქტიკულ კვლევას დაწყებით კლასებში მოსწავლეთა

მოტივაციის ამაღლების საშუალებებზე. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. თქვენგან მღებული ინფორმაცია ანონიმურია. არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1. როგორია თქვენი შვილის მისწრაფება სწავლისადმი?
   - ძლიერი
   - საშუალო
   - სუსტი
2. ასრულებს თუ არა თქვენი შვილი დავალებას დამოუკიდებლად?
   - დამოუკიდებლად ასრულებს
   - ხშირად ვეხმარები
   - ყოველთვის ვეხმარები
3. როგორი სახის დავალებას ასრულებს სიხარულით?
   - საკითხავს
   - წერითს
   - დასახატს
4. აქვს თუ არა თქვენს შვილს სახლში მოწყობილი სამეცადინო კუთხე?
   - დიახ
   - არა
5. როგორ ახალისებთ თქვენს შვილს სწავლაში წარმატების შემთხვევაში?
   - შევაქებ ხოლმე

- ○ ვჩუქნი საჩუქარს

6. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს შვილს მასწავლებლები უფრო ნაკლები მოცულობის საშინაო დავალებას უნდა აძლევდნენ?
   - ○ დიახ
   - ○ არა
7. რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში თქვენი შვილის პროგრესის შესახებ ინფორმაციისათვის?
   - ○ ყოველ კვირაში
   - ○ თვეში ერთჯერ
   - ○ სემესტრში ერთჯერ
   - ○ წელიწადში ერთჯერ
8. გაძლევთ თუ არა სკოლა საკმარის ინფორმაციას თქვენი შვილის წარმატებისა და პრობლემების შესახებ?
   - ○ დიახ
   - ○ არა
9. ხომ არ აცხადებს, ზოგჯერ, თქვენი შვილი უარს სკოლაში წასვლაზე?
   - ○ კი
   - ○ არა
   - ○ ზოგჯერ
10. ხომ არ ფიქრობს თქვენი შვილი, რომ მას სკოლაში კლასელები ჩაგრავენ, ან დასცინიან, როცა კითხვებზე არასწორად პასუხობს?
    - ○ დიახ
    - ○ არა

დანართი 5. ინტერვიუ მასწავლებლებთან

კითხვარი

1. რა მეთოდებს იყენებთ იმისთვის, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ გაკვეთილზე?
2. ძირითადად რა პრობლემებს აწყდებით მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართვის კუთხით?
3. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს გაკვეთილზე?
4. თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ესგ-ით დადგენილ მიზნებს?

5. იყენებთ თუ არა ინდივიდუალურ მიდგომებს თითოეული მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით და რაში გამოიხატება ის?
6. გთხოვთ, დაგვისახელოთ რამდენიმე ისეთი აქტივობა, რამაც შეიძლება შეუწყოს ხელი მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობას?
7. ეკითხებით თუ არა მოსწავლეს აზრს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით?
8. როგორ გესახებათ არაფორმალური აქტივობების როლი მოსწავლის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით?
9. როგორი ტიპის მოსწავლეები არიან ყველაზე პასიური სასწავლო პროცესში?
10. გთხოვთ, მოგვცეთ რეკომენდაციები რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას?

დანართი 6.

ამონაწერი მასწავლებლის დიურიდან (ფოკუსირებულ მოსწავლეზე საგაკვეთილო დაკვირვება)

დღეები	აქტივობის ფორმა	მასწავლებლის ჩანაწერი	განმავითარებელი შეფასება
I გაკვეთილი	ჯგუფური	გაუბედავია, უჭირს ჯგუფში მუშაობა	შენ შეგიძლია უკეთ იაქტიურო, იქნებ გეცადა წიგნიდან პერსონაჟის ერთი გარეგნული თვისება ამოგეწერა.

II გაკვეთილი	ჯგუფური	ცდილობს ჩაერთოს ჯგუფურ მუშაობაში მაგრამ ვერ ახერხებს, თითქოს აქვს იმისი შიში, რომ ვერ შეძლებს ჯგუფში მუშობას.	შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა დაძლიო გაუბედაობა. ვფიქრობ მშვენივრად შეგიძლია ჩაერთ ჯგუფურ მუშობაში, შეეცადე აიღო საკუთარი პასუხისმგებლობა ზოგიერთ საკითხზე. მგალითად შეგიძლია ლამაზად დაწერო საპრეზენტაციო მასალა.
III გაკვეთილი	ჯგუფური	ეძებს წიგნში მითითებული პერსონაჟის დახასიათებას, მაგრამ უჭირს სწრაფად ,მუშაობა	თვალს გადევნებდი და მომეწონა შენი აქტიურობა , მოცემულ დავალებას წიგნში ადვილად მიაგენი, მომავალში ეცადე უფრო სწრაფად იმუშაო. ვფიქრობ ამისათვის გჭირდება მეტად დახვეწო კითხვის ტექნიკა.
IV გაკვეთილი	ჯგუფური	ცდილობს და ახერხებს აზრის მოკლედ გადმოცემას. მაგრამ არ კითხულობს ტექსტს ბოლომდე. ერთ აბზაცს ეყრდნობა.	ყოჩაღ, დღეს კარგად იმუშავე, ჯგუფს წაადგა შენი მუშაობა. კარგია აზრი მოკლე და გასაგები წინადადებით, რომ გადმოეცი, მაგრამ შემდგომში გაითვალისწინე საერთო აზრის გადმოცემისათვის უნდა გაითვალისწინო სხვა აბზაცების შინაარსიც.

დანართი 7. ინტერვენციის შეფასების კითხვარები მოსწავლეებისათვის

1. **რა სიხშირით ერთვები საკლასო აქტივობებში?**

   ა) მიჭირს ჩართვა

   ბ)ზოგჯერ ვერთვები

   გ) ყოველთვის ხალისით ვერთვები

2. **მოგწონს თუ არა გაკვეთილები რომლებსაც მასწავლებელი გიტარებს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით?**

   ა) კი

   ბ) არა

   გ) არ მიმიქცევია ყურადღება.

3. **გახდა თუა არა სწავლა შენთვის სახალისო?**

   ა) კი

   ბ) არა

   გ) ნაწილობრივ

4. **გაქვს თუ არა სურვილი სხვა დროსაც ჩაგიტარდეს მსგავსი გაკვეთილები?**

   ა) დიახ

   ბ) არა

   გ) ხანდახან

5. **მოგწონს თუ არა, როცა კლასის წინაშე პრეზენტაციას აკეთებ?**

   ა) მომწონს

   ბ) არ მომწონს, რადგან მიჭირს

   გ) მომწონს, მაგრამ მრცხვენია

ბიბლიოგრაფია

- 1. ს. ლობჟანიძე- „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. 2012 წლის 3 მაისი.
- **2. კვლევის მეთოდები განათლებაში - ლუის კოჰენი.pdf** https://docs.google.com/a/iliauni.edu.ge/viewer?a=v&pid=sites&srcid=aWxpYXVuaS5lZHUuZ2V8YXVkaW8tbWFzYWxlYml8Z3g6NzJkNjFjYjcwZTkxODdmOQ
- 3. ინასარიძე მ, ლობჟანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
- 4. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსიhttp://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201
- 5. გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (29 აგვისტო, 2014) მანანა ბოჭორიშვილი http://mastsavlebeli.ge/?p=1915
- 6. მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოები:
  1.“განვითარებისა და სწავლების თეორიები“;
  2. „სწავლება და შეფასება“;
  3. „სასწავლო და პროფესიული გარემო“.
- 7. მასწავლებელთა სატრენინგო მასალა
- ეროვნული სასწავლო გეგმა.

პრაქტიკული კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის თემა იყო: „ **მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მათ დაძლევის გზები უმცროსკლასელებში“.** პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე , კოლეგებში ამ კვლევამ იმთავითვე აღძრა ინტერესი. დაწყებითი კლასის მასწავლებლები კვლევის დასაწყისიდან საქმის კურსში იყვნენ

(რადგან ან გამოკითხვაში მონაწილეობდა, ან ფოკუსჯგუფის პედაგოგი იყო, რომელთანაც გასაუბრება პერიოდულად მიწევდა), მაგრამ საბოლოო შედეგებისა და ინტერვენციის შესახებ ინფორმაცია მათთვის საინტერესო აღმოჩნდა.

კვლევის შედეგები დაწყებითი კლასების კათედრის სხდომაზე წარვადგინე, პედაგოგებთან, მოკლე პრეზენტაციის სახით. მეტი თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენე Power-Point-ს სლაიდები, სადაც წარმოდგენილი მქონდა უშუალოდ შედეგები და კვლევაში წარმოდგენილი გრაფიკები). საკითხის აქტუალურობის შესახებ პედაგოგები ინფორმირებული იყვნენ, ამიტომ გავაცანი პირდაპირ კვლევის შედაგები, ინტერვენციის პროცესი და საბოლოო დასკვნები. პედაგოგები შედეგებს ინტერესით გაეცნენ.

რამდენიმე პედაგოგმა გამოთქვა მოსაზრება. მათ აღნიშნეს რომ ეს პრობლემა ნამდვილად აქტუალურია, რადგან უშუალოდ მასზეა დამოკიდებული მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, რაც უშუალო კავშირშია მიებული ცოდნის დონის გაუმჯობესებასთან.

მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილ ფსიქოლოგთა თეორიები, კერძოდ: გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის ,მასლოუს იერარქიულ თეორიები, ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები, დ. უზნაძის განწყობის თეორია. მათ აღნიშნეს, რომ კვლების შედეგები და ზემოხსენებული თორიები გამოადგებათ როგორც სწავლების პროცესში, ასევე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დროს.

ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ წლებია სკოლაში ასწავლის და სულ დგას პრობლემა, როგორ ჩავრთოთ ყველა მოსწავლე სასწავლო პროცესში ისე, რომ გამოვიწვიოთ მათი დაინტერესება. ჯგუფში არიან სხვადასხვა ინტერესებისა და ინტელექტის ბავშვები, ამიტომ მრავალრიცხოვან კლასში ჭირს მათთან ინდივიდუალური მიდგომა. ამისათვის გამომიყენებია სხვადასხვა აქტივობა, მაგრამ საყურადღებოა აღნიშნული კვლევის შედეგები.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო უკუკავშირი, რომელშიც პედაგოგებმა მომიწონეს საკვლევად ამ საკითხის არჩევა. ასევე მნიშვნელოვანი იყო კვლევის შედეგების დადებითად შეფასება.

პრეზენტაციის ბოლოს, კათედრის წევრებს გაუჩნდათ სურვილი პერსონალურად მიმეწოდებინა მათთვის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებსაც აქტიურად გამოიყენებდნენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ამრიგად, უკუკავშირი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მან კიდევ უფრო დამაფიქრა იმაზე, რომ კიდევ უამრავი აქტივობის მოფიქრება შეიძლება ამ კუთხით; კიდევ ერთხელ

დამარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხებზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები გზები, აქტივობები ამოუწურავია. ეს კვლევა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ავიმაღლე საკუთარი პროფესიონალიზმი, კიდევ ერთხელ განვიხილე განვითარებისა და სწავლების თეორიები, წავიკითხე უამრავი მასალა ამ თემაზე, რომელიც ინტერნეტსივრცეში იყო. ვნახე სხვადასხვა გამოკვლევები ამ საკითხთან დაკავშრებით. „გავიზარდე“, როგორც მასწავლებელი.

გამიჩნდა სურვილი, რომ კვლავ განვახორციელო პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, არა მარტო სწავლების არამედ აღზრდის კუთხითაც.

ჩემი შეხვედრა კათედრის წევრებთან იყო გულწრფელი ურთიერთობა ჩვენს შორის. მადლობას ვუხდი მათ, რომ მთელი კვლევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული საჭიროებისამებრ და დახმარებას მიწევდნენ.

სსიპ ქალაქ თერჯოლოს N 2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების

მასწავლებელ : ზოია ბუცხრიკიძე